GÜRTİAD

ქართველ და თურქ ბიზნესმენთა ასოციაცია
GÜRCÜ VE TÜRK İŞADAMLARI DERNEĞİ

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

2020 / 12 Haziran / ივნისი

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon/ინფლაცია
3 716.9	4 763.5	5.1 %	11.6 %	6.5%

Hükümetin Krizle Mücadele Bütçesi
მთავრობის ანტიკრიზისული ბიუჯეტი

8 Haziran 2020 tarihinde Gürcistan Hükümeti krize karşı mücadele bütçesi sunmuştur. Tanıtım sırasında salgının ülke ekonomisi ve bütçesi üzerindeki olumsuz etkileri konuşuldu.

Hükümet temsilcilere göre 2020 yılında ülke ekonomisinin %4 oranında küçülmesi bekleniyor. İhracat yaklaşık olarak %6 oranında azaltacak, Turizm sektörü ve yurtdışından para transferleri boyutu aynı şekilde önemli ölçüde azaltacak, aynı şekilde ülke bütçesinde vergi gelirinin 1,5 milyar GEL ile azaltılması bekleniyor.

Buna rağmen, salgını önlemek ve sonuçlarını ortadan kaldırmak için bütçeden 5 637.0 milyon Larilik kaynak tahsis edildi. Bu miktarın 4 470.0 milyonu, uluslararası ortaklar tarafından verilen kredidir: Uluslararası Para Fonu – 603.0 mln; Asya kalkınma Bankası – 1 455.0 mln, Alman İmar Kredi Bankası – 885.1 mln, Asya Altyapı Yatırım Bankası – 450.0 mln, Fransız Kalkınma Ajansı – 439.8 mln, Dünya Bankası – 396.1 mln, Avrupa Birliği: 241.0 mln kredi ve 330.0 mln hibe.

Hükümet, harcama kısmını azaltmak açısından bütçeden 547.1 milyon GEL tasarruf etmeyi planlıyor. Bu bağlamda Altyapı, Eğitim, Savunma, Ekonomi, Tarım, Finans, İçişleri ve Dışişleri Bakanlıkların, aynı zamanda Parlamento ve Mahkeme bütçeleri indirgenmiştir.

Tanıtım sırasında, harcamaların azaltılmasının yanı sıra, hükümetin iş dünyasına sağlayacağı 559.2 milyon GEL sübvansiyonundan da söz edildi: Kredi finansmanı - 330 milyon, Oteller için kredi faiz sübvansiyonu - 70 milyon, Hibeler - 20 milyon, İnşaat sektörü için destek - 20 milyon, Tarım sektörü için destek - 115 milyon, Virüsle karşı mücadelede katkı sağlayan hastanelerin sübvansiyonu - 3.2 milyon, Vatandaşların ülkeye geri dönebilmesi için tahsis edilen finansmanı - 1 milyon.

https://bit.ly/2YrF9tM

საქართველოს მთავრობამ 2020 წლის 8 ივნისს ანტიკრიზისული ბიუჯეტის პრეზენტაცია გამართა. პრეზენტაციის წარდგენისას აქცენტი გაკეთებული იყო იმ უარყოფით ზეგავლენაზე, რომელიც პანდემიამ ქვეყნის ეკონომიკასა და ბიუჯეტზე იქონია.

AK YIL ZEMİN · Ank Catering · ARKAS GEORGIA LLC · EM Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაბახტარი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · Ziraat Bankası

მთავრობის განმარტებით 2020 წლისთვის, მოსალოდნელია ქვეყნის ეკონომიკის 4%-ით შემცირება. დაახლოებით 6%-ით შემცირდება ექსპორტის მაჩვენებელი, მნიშვნელოვნად შემცირდება შემოსავლები ტურიზმისა და ფულადი გზავნილების ნაწილში, 1.5 მილიარდ ლარამდე არის მოსალოდნელი საგადასახადო საბიუჯეტო შემოსავლების შემცირება.

მიუხედავად აღნიშნულისა პანდემიის პრევენციისა და მისი შედეგების სალიკვიდაციოდ ბიუჯეტში 5 637.0 მლნ ლარი მობილიზდა. აღნიშნული თანხიდან 4 470.0 მლნ ლარი საერთაშორისო პარტნიორების მიერ გამოყოფილი კრედიტია: საერთაშორისო სავალუტო ფონდი - 603.00; აზიის განვითარების ბანკი - 1 455.00; გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი - 885.1; აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი - 450.00; საფრანგეთის განვითარების სააგენტო - 439.8; მსოფლიო ბანკი - 396.1; ევროკავშირი: კრედიტი - 241.0 და გრანტი - 330.

ხარჯვითი ნაწილის შემცირების კუთხით მთავრობა ბიუჯეტიდან 547.1 მლნ ლარის დაზოგვას გეგმავს. ამ კუთხით ბიუჯეტი უმცირდება ინფრასტრუქტურის, განათლების, თავდაცვის, ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, ფინანსთა, შინაგან საქმეთა და საგარეო საქმეთა სამინისტროებს, ასევე პარლამენტს და სასამართლოს.

პრეზენტაციაზე მთავრობის მიერ დაგეგმილი ხარჯვითი ნაწილის შემცირების გარდა ასევე ისაუბრეს 559.2 მლნ ლარის ოდენობის სუბსიდიებზე, რომელსაც მთავრობა გაუწევს ბიზნესს: საკრედიტო-საგარანტიო სქემის დაფინანსება - 330 მლნ, სასტუმროების პროცენტის სუბსიდირება - 70 მლნ, მცირე გრანტები - 20 მლნ, სამშენებლო სექტორის მხარდაჭერა - 20 მლნ, სოფლის მეურნეობის სექტორის ხელშეწყობა - 115 მლნ, ვირუსთან ბრძოლაში ჩართული საავადმყოფოების სუბსიდირება - 3.2 მლნ, ქვეყანაში მოქალაქეების დაბრუნების ხარჯი - 1 მლნ.

https://bit.ly/2YrF9tM

Agara Şeker Fabrikası Yeniden Faaliyete Geçmiştir
აგარის შაქრის ქარხანამ მუშაობა განაახლა

Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Natia Turnava, Tarım Bakanı Levan Davitashvili ve Shida Kartli valisi Giorgi Khojevanishvili ile beraber Agara Şeker Fabrikası ziyaret etmiştir. Ekonomi Bakanı, salgın döneminde ülkede oluşan ekonomik durumda yerel üretimin önemini vurguladı. Şeker üretimin yenilenmesinden dolayı yaklaşık 500 yeniş iş yeri yaratılmış. Tesis, yıl sonuna kadar çalışıp, Gürcistan pazarın yaklaşık yarısını - 60-65 bin tona kadar şeker üretecek.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრ ლევან დავითაშვილთან და შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულ გიორგი ხოჯევანიშვილთან ერთად აგარის ქარხანაში განახლებული სამუშაო პროცესი დაათვალიერეს. ეკონომიკის მინისტრმა ხაზი გაუსვა ადგილობრივი წარმოების მნიშვნელობას პანდემიის გამო შექმნილი ეკონომიკური ვითარების პირობებში. შაქრის წარმოების განახლებით 500 ადგილობრივი დასაქმდა. ქარხანა მთელი წლის განმავლობაში, დეკემბრის ბოლომდე იმუშავებს და 60-65 ათას ტონამდე შაქრის წარმოებას გეგმავს, რაც საერთო ბაზრის დაახლოებით ნახევარს შეადგენს.

AK YIL ZEMİN Ank Catering ARKAS GEORGIA LLC EM Ermed GEORGIA İŞBANK KOÇ KABLO LC WAIKIKI ნაბახტარი MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM Ziraat Bankası

Doğrudan Yabancı Yatırım 2020 I çeyrek
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2020 წლის I კვარტალი

Gürcistan milli istatistik kurumuna göre 2020 yılı ilke çeyreğinde Gürcistan'da yapılan doğrudan yabancı yatırımın hacmi 165.4 milyon AB Dolar olmuş ve bu rakam bir önceki yılın aynı verilerine göre %41.7 ile daha azdır.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ბიუროს მონაცემებით, 2020 წლის I კვარტალში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 165.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის I კვარტალის მონაცემებზე 41.7 პროცენტით ნაკლებია.

En Büyük Yatırımcı Ülkelerin Payı
უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნების წილი 2020 წლის I კვარტალი



Yasa Değişikliği
საკონონმდებლო ცვლილება

NODIA, URUMASHVILI & PARTNERS

Değerli üyemiz, ülkedeki mevcut yasal değişiklikler hakkında her iki dilde makale "Nodia, Urumashvili & Partners" www.nplaw.ge şirket tarafından hazırlanmıştır. Derneğimiz "Nodia, Urumashvili & Partners" şirketine işbirliği içi yürekten teşekkür eder, hazırlanan makalesini bilgilerinize sunarız.

AK YIL ZEMİN · Ank Catering · ARKAS GEORGIA LLC · Ermed GEORGIA · İŞBANK · KOÇ · KABLO · LC WAIKIKI · ნაბეღლავი · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · Ziraat Bankası

ძვირფასო წევრებო, ქვეყანაში მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებული ორენოვანი სტატია მოამზადა ასოციაციის წევრმა „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“ www.nplaw.ge ასოციაცია გულითად მადლობას უხდის თანამშრომლობისთვის კომპანიას „ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორები“ და გთავაზობთ მომზადებულ მასალას.

Parlamento tarafından ''Rehabilitasyon ve kreditörlerin taleplerinin toplu olarak kabullenmesi'' kanun tasarısı incelenmektedir. Söz konusu kanun tasarısının amacı rehabilitasyona ulaşılması yoluyla, rehabilitasyonun mümkün olmadığı durumunda ise ödeme gücü olmayanın tüm mevcut ve gelecekte alınacak malvarlığın satışa çıkarılmasından elde edilen tutarın paylaşımı yoluyla kreditörlerin taleplerinin toplu olarak kabullenmesidir.
Yeni kanun tasarısıyla değişikliklerin yapılması teklif edilmiştir. Örneğin, vergi talepleri öncelik sırası ve statüsünün değişikliği, Vergi dairesi diğerlerle beraber sıradan bir kreditör olmakta, birinci sınıf kreditör olmayacaktır.
İflas/rehabilitasyon sürecinden Milli İcra Bürosu uzaklaştırılacaktır, yerini ödeme gücü olmayanın pratisyeni alacaktır.
Değişikliğiyle iflas rejiminde olan şirketin rehabilitasyon sürecine geçiş (dönüşüm) imkanı da sağlanmıştır.
Kanun tasarısıyla alternatif prosedür olan düzenli anlaşmanın enstitüsü tanımı belirlenmiştir. Borçluya mahkemeye baş vurmadan ve az masraflarla mali zorluklarının aşabilme yolunun bulabilmesi ve kreditörle anlaşabilecek imkanı vermektedir.
Kanun tasarısı çalışma sürecine eksper olarak diğer kişilerle beraber Ltd.''Nodia, Urumaşvili ve Partniorebi''nin yöneticisi Laşa NODİA katılmıştır.
Kanun 01 Ocak 2021 tarihinden yürürlüğe girilmesi göz önünde bulundurulmuştur.

პარლამენტში განხილება კანონპროექტი "რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ". აღნიშნული კანონპროექტის მიზანია კრედიტორთა მოთხოვნების კოლექტიური დაკმაყოფილება რეაბილიტაციის მიღწევის, ხოლო რეაბილიტაციის შეუძლებლობის შემთხვევაში - გადახდისუუნარობის მასის რეალიზაციიდან მიღებული თანხის გადანაწილების გზით.
კანონის ახალი პროექტით შემოთავაზებულია ცვლილებები, მათ შორის საგადასახადო მოთხოვნების რიგითობისა და სტატუსის ცვლილება, კერძოდ შემოსავლების სამსახური ხდება რიგითი კრედიტორი სხვებთან ერთად, ის აღარ იქნება უპირობოდ პირველი რიგის კრედიტორი. მოხდება გაკოტრების/რეაბილიტაციის პროცესისაგან აღსრულების ეროვნული ბიუროს დისტანცირება, მას ჩაანაცვლებს გადახდისუუნარობის პრაქტიკოსი.
ცვლილებებით გაკოტრების რეჟიმში მყოფი კომპანიის რეაბილიტაციის პროცესში გადასვლის (კონვერსიის) შესაძლებლობაც გაჩნდა. კანონპროექტით განისაზღვრა რეგულირებული შეთანხმების ინსტიტუტის ცნება, რომელიც ალტერნატიული პროცედურაა, რომელიც მოვალეს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს არსებითი ჩარევის გარეშე და ნაკლები დანახარჯებით გამონახოს ფინანსური სირთულეების დაძლევის გზები და მიაღწიოს შეთანხმებას კრედიტორებთან და ა.შ
კანონპროექტის შემმუშავებელ ჯგუფში, როგორც ექსპერტი, სხვა რამდენიმე პირთან ერთად მონაწილეობდა შპს ,,ნოდია, ურუმაშვილი და პარტნიორების“ მმართველი პარტნიორი ლაშა ნოდია. გათვალისწინებულია რომ კანონი ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი (12.06.2020)

USD/GEL – 3.0387 TRY/GEL – 0.4470 EUR/GEL – 3.4577 GBP/GEL – 3.8570

GEL/USD

05 – 12 Haziran 2020

TRY/USD

05 – 12 Haziran 2020

TRY/GEL

05 – 12 Haziran 2020